ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ს

დადგენილება №45

2011 წლის 20 სექტემბერი

ქ . ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ც'' ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად :

1. შემოღებულ იქნეს ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდება.
2. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდების მინიჭების წესი (დანართი №1).
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის მოწმობა (დანართი №2).
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ . ლომიძე

დანართი №1

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდების მინიჭების წესი

1. ქართული სახელმწიფოს მშენებლობის განსაკუთრებული პირადი წვლილის აღსანიშნავად დაწესებულია „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდება.
2. ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდებას ანიჭებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის და საზოგადოებრივი ორგანოების წარდგინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე.
3. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდება ენიჭებათ:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისათვის ;

ბ) ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისა და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის;

გ) უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე, ხაშურის მუნიციპალიტეტთან მეგობრული კავშირების განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეებს ეძლევათ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდების მოწმობა და ატრიბუტიკა.
5. ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის გვარი შეტანილ იქნება „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდების წიგნში.
6. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდება ენიჭებათ მხოლოდ კონკრეტული დამსახურებისათვის, დაუშვებელია „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდების მინიჭება მხოლოდ ნამსახურევი წლებისა და საიუბილეო თარიღის გამო.
7. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' წოდებას და შესაბამის ატრიბუტიკას საზეიმო ვითარებაში გადასცემს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ან მისგან უფლებამოსილი პირი.
8. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეობის'' ჩამორთმევა შეუძლია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე , „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის'' მიერ უღირსი საქციელის ჩადენის, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის ან საკუთარი ინიციატივით.

ხაშურის მუნიციპალიტეტი
Khashuri Municipality

მოწმობა
Certificate

ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე
Honorary Citizen of Khashuri Municipality

_____

სახელი, გვარი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე _____
HEAD OF KHASHURI MUNICIPALITY COUNCIL DAVID LOMIDZE

_____
თარიღი : Date: